№ 694 ხუთშაბათი, 3 დეკემბერი. 1896—1898 ხუთშაბათი, 3 დეკემბერი № 694

240

სტამბა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურო ქარვასლა.

ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ.“ წიგნის მაღაზიას.

ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.

პირ-და-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.

ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.

თითო ნომერი 3 კაპიკი

ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ ვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція „Цнобисъ Пурцели“ Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства. Телефонъ № 363


## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 3 დეკემბერს

ბენეფისი

### ქ-ნ ა. მ. კარგარეთელისა

ქართულ დრამატ. საზოგადოების არტისტებისაგან ქ-ნ **მესხის** და ბ-ნ **გუნიას** მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება

I

## რუსთაველი

ოთხ მოქმედ. პიესა კ. მესხისა (სიუჟეტი აღებულია ბერის თხზულებიდან)

II

## აყალ-მაყალი ცოლ-ქმარს შუა

ვოდევ. 1 მოქმ. თარგ. ალ. ჭიჭინაძისა

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი

**ადგილების ფასი საბენეფისოა**

**დასაწყისი სწორედ 8 საათზე**

რეჟისორნი **ვ. აბაშიძე** და **კ. მესხი**

ამ მოკლე ხანში იქნება ბენეფისი ქ-ნ ჩერქეზიშვილისა

---

გაბრიელ ეპისკოპოსის

## სადარბაზო სურათი

ტუშით დახატული, ერთის ალაბის სიმაღლე და სიგანე, მშვენიერ ხავერდის ჩარჩოში ჩასმული, ისყიდება „ქართველთა შორის წ. კითხვის გამავრ. საზოგადოებაში“.

ფასი 35 მან. (5—3)

---

დაიბეჭდა **1899** წლის

ქართული

## კედლის კალენდარი

შედგენილი **ზრ. ჩარკვიანის** მიერ

ისყიდება ყველგან ქართულ წიგნებით მოვაჭრეებთან.

ფასი ყველგან 40 კაპ.

უმთავრესი საწყობი: Тифлисъ. Писчебумажный магазинъ С. М. Лазаревой. (5—2)

---

დოქტორი მედიცინისა და ქირურგი

## ბენკლევსკი

ავადმყოფებს ღებულობს დილის 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

გრიბოედოვის ქუჩა, არშაკუნისეული სახლი № 30.

Докторъ медицины и хирургъ

**БЕНКЛЕВСКІЙ**

Грибоѣдовская № 30, д. бывш Аршакуни. (წ.)

---

ახლად შემდგარი სუფსის მეეტლეთა ამხანაგობა

## „კავშირი“

იწყებს თავის მოქმედებას პირველ ნოემბრიდან.

ეტლთა მიმოსვლა არის შეძარებული მატარებლის მიმოსვლასთან. სუფსიდან გადის ომნიბუსი ქ. ფოთში დილის 10 საათზე, ბრუნდება 6 საათზე საღამოს.

ფასი დაწესებულია ერთი მანეთი

ამხანაგობის გამგე ბ. შ. კომასიძე (15 - 10)

---

სამკურნალო და ამბულატორია

## ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,**

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე· შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.** საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. ქ. გერატი.** დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r **ф. ბაცევიჩი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. ქ. ვარშავსკი.**

ამბულატორიასთან არის კაბინეტი საქიმიო და საბაქტეოროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისთვის.

სამკურნალო დ-რექტორი **ს. ბ. თოფურია.**

*Лѣчебница В. С. Топурія* въ Кутаисѣ.


## ახალი ამბავი

—

*** **ა. კარგარეთელის ბენეფისი.** დღეს ქართულს თეატრში დანიშნულია ახალგაზდა არტისტი ქალის ა. კარგარეთელის ბენეფისი; წარმოდგენილი იქნება კ. მესხის მიერ დაწერილი ისტორიული 4 მოქმედებიანი პიესა „რუსთაველი“, რომელშიაც გამოყვანილია სხვათა შორის თამარ-მეფეც, რომლის როლს ასრულებს ჩვენი ნიჭიერი არტისტი ქალი ეფ. მესხი. „რუსთაველის“ შემდეგ წარმოდგენილი იქნება მხიარული ვოდევილი „აყალ-მაყალი ცოლ-ქმარს შუა“ ვ. აბაშიძის მონაწილეობით. ეჭვი არ არის დღევანდელ საინტერესო წარმოდგენას დიდ-ძალი ხალხი დაესწრება.

*** **ექსარხოსის წირვა.** პარასკევს 4 დეკემბერს წმ. ქალწულ მოწამის ბარბარეს ეკკლესიაში (ნავთლუღში) ყოვლად უსამღვდელოესი ექსარხოსი ფლაბიანე თანამწირველებითურთ სწირავს ლიტურღიას.

*** **უსიამოვნო შემთხვევა სამოს. პალატაში.** 1-ლ დეკემბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატის სისხლის სამართლის 1-ლ განყოფილებას უნდა გაერჩია კასანალი-ოღლისა და ბაირამოვის საქმე, რომელთაც ბრალდებათ მკვლელობა. მეორე ბრალდებულის ვექილად იყო ნაფ. ვექ. ბ კოროლკოვი. როცა თავმჯდომარემ ბ. კოროლკოვს წინადადება მისცა, უკანასკნელი წამოდგა ფეხზე და გაუგებრად ლუღლუღი დაიწყო. ხელების ქნევაზე და ხმაზე, ბ. კოროლკოვს ეტყობოდა, რომ ის არ იყო ნორმალურ მდგომარეობაში.

თავმჯდომარე. დამცველო ბ. კოროლკოვო, თქვენ ვერ ლაპარაკობთ, არ შეგიძლიათ დაიცვათ.

დამც. კოროლკოვი. არა, მე...

თავმჯ. თქვენ გაუგებრად ლაპარაკობთ...

წევ. მომხსენებელი ოპტოვცევი ეს აუტანელია!..

თავმჯდ. პალატა მიდის სათათბიროდ

სხდომის დარბაზში დაბრუნების შემდეგ პალატამ გამოაცხადა შემდეგი განაჩენი: რადგან დამცველი ბ. კოროლკოვი პალატის სხდომაზე მეტად შეზარხოშებული მოვიდა, საქმის განხილვა გადიდევს 11 დეკემბრისათვის; ხოლო ნაფ. ვექილის ბ. კოროლკოვის საქციელი ეუწყოს პალატის უფროსს თავმჯდომარეს და სხვ...

კ. ხ.

*** **მთავარ-მართებლის შემოწირულება.** კავკასიის მთავარ-მართებელმა თავისი მეუღლით შესწირა ასი მან. ბავშვთათვის მზრუნველ საზოგადოებას, ავლაბარ-ჩუღურეთის ღარიბეს მოწაფეთათვის.

*** **ქალაქის გამგეობის წევრთ. კანდიდატები.** საბჭოს სარეკომენდაციო კომისიამ. რომელსაც მიენდო ქალაქის გამგეობის წევრთა კანდიდატების დასახელება, უკვე აირჩია ასეთ კანდიდატებად საბჭოს ხმოსნები: თავ. ა. ბებუთოვი და მ. ს. შესტაკოვი და საბჭოს დამფასებელ კომისიის წევრი თავ. ვ ნ. ჩერქეზიშვილი.

*** **ქალაქის თვით-მმართველობის შუამდგომლობა.** ტფილისის ქალაქის თვით მმართველობამ შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ ქალაქი ტფილისი, რომელიც 1-ლ ხარისხის ქალაქებს ეკუთვნის, ჩარიცხულ იქმნეს მე-2 ხარისხის ქალაქად მაზე ახალი სამრეწველო გადასახადის გასაწერად.

*** **ახალგაზდა ბებია ქალები.** კავკასიის სამკურნალო ნაწილის მმართველის თხოვნით, ქალაქის მოურავმა წინადადება მისცა სიფილისიან ქალთა საავადმყოფოს მმართველს დოქტორს ისტამანოვს, ნება მიეცით ოლგის საბებიო ინსტიტუტის კურს დამთავრებულ ქალთ იმუშაონ საავადმყოფოში და იკისრეთ ამ მუშაობის ხელმძღვანელობა.

*** ცეცხლის გაჩენა. სოფ. ზიმონიკიდან გვაუწყებენ შემდეგს სამწუხარო ამბავს: აქ 30 ნოემბერს, ღამის 12 საათზე, ცეცხლი გაუჩნდა და გადიწვა სახლი თავ. ივანე არღუთინსკი-დოლგორუკისა.

*** საბადოსნო სკოლის შენობა. როგორც ისმის, კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას განზრახვა აქვს გააფართოვოს ტფილისის საბადოსნო სკოლის შენობა.

*** მალაჲ ქმარი სხვისი ცოლისა. ერთს რუსის აზნაურს, ივ. პალლად. მ—ნის ერთს მშვენიერ დღეს ჩაულაგებია თვისი ბარგი-ბარხანა და ქ. ხარკოვიდგან სადღაც წასულა; მიუტოვებია შინ სრულიად უსახსროდ ცოლი და სამი წვრილი შვილი. ცოლს მ—სას მიუყიდ-მოუყიდნია თავისი უკანასკნელი ავეჯეულობა და დაუწყია ქმრის ძებნა აქეთ იქით ქალაქებში, მაგრამ ვერ უპოვნია. ამ ძებნის დროს ქალს წერილი მიუღია, რომელშიაც აუწყებდნენ, შენი ქმარი ქალაქ ტფილისში სცხოვრობსო. მ—სას მაშინვე ქმრისთვის რამდენჯერმე წერილი მიუწერია, მაგრამ ვერც ერთს წერილზე პასუხი ვერ მიუღია. ქალს ტფილისში ერთი ნაცნობი ვექილი ჰყოლოდა, რომლისთვისაც რწმუნების, ქაღალდი გამოუგზავნია და უთხოვნია, ჩემი ქმარი როგორმე კანონიერათ ვალდებული გახადეთ მაძლიოს საზრდო ჩემთვის და შვილებისთვისაო. ვექილს ოფიციალური ცნობები მოუთხოვია და შემდეგი პასუხი მიუღია: მ—ნი სცხოვრობს ქ. ტფილისში, მსახურობს, ცოლიანია, მაგრამ სცხოვრობს მარტო, უცოლ-შვილოთ. ვექილს საჩივარი შეუტანია და საქმეც მოუგია. მას შემდეგ მ—ს ყოველ თვე თურმე 25 მან. ურიცხავდნენ ჯამაგირიდგან მის უცნობ სხვის ცოლშვილის სასარგებლოდ. როგორც იყო დროებით თურმე დაეთხოვა სამსახურიდან ბ-ნი მ—ი და ხარკოვში წასულა. იქ უნახავს ქ-ნი მ—სა, რომელსაც გაკვირვებით უკითხავს: ვის ეძებთ, ვინა ბრძანდებითო? ბ. მ—ს უპასუხნია, მე მსურს ვნახო ის ჩემი უცნობი ცოლ-შვილი, რომლის სასარგებლოდაც თვეში ჯამაგირიდან 25 მანეთს მირიცხავდნენო.

ქ-ნი მ—სა მეტად შემკრთალა, გაუკვირვებია ეს ამბავი და მაშინვე გამოუცხადებია, სადაც ჯერ იყო, ის კაცი, რომელსაც ფულს აძლევდნენ, ჩემი ქმარი არ არისო. მას შემდეგ ბ. ივ. მ—ნი გაუნთავისუფლებიათ ფულის გადახდისაგან.

*** ინგლისური ენა რეალურს სასწავლებლებში. ოდესის გაზეთები იუწყებიან, რომ რუსეთის იმპერიის სამხრეთ ქალაქების რეალურ სასწავლებლებში შემოღებულ იქმნება ინგლისური ენის, როგორც სავალდებულო საგნის, სწავლება.

*** დუხობორები კიპრის კუნძულზე. შემოდგომით კიპრის კუნძულზე გადასახლებულ დუხობორებში ავადმყოფობა გავრცელებულა და მრავალი უმსხვერპლია. უკანასკნელ თვის განმავლობაში მომკვდარა 40 კაცზე მეტი. დუხობორებს იჯარით აუღიათ ადგილობრივ მემამულეთა მიწები და შესდგომიან მათს დამუშავებას. ჰავის გამო დუხობორებს გადაუწყვეტიათ კიპრიდან კანადაში გადასახლება.

*** ახალი სისტემის ლამპა. ვილაც ტეხნიკოსს ი. ე. გრიგორიევს გამოუგონია ახალი სისტემის ლამპა, რომლის ასანთებლად იხმარება. ნავთი ამ ლამპას აქვს ცალკე ბუშტი გაზის გასაჩენად, ანათებს თეთრ-ბრწყინვალედ და ხარჯს კი სულ მცირეს მოითხოვს. ერთგვარი ხუფების შემწეობით ლამპის აფეთქება შეუძლებელია.

*** ნიხრი ხორცზე. 30 ნოემბერს პურისა და ხორცის გამნიხვრელმა საბჭოს კომისიამ დაამთავრა წვრილ ფეხა და სხვილ-ფეხა საქონელი საშინჯავად დაკვლა. ხორცის გაშინჯვამ დაარწმუნა კომისია, რომ შესაძლებელია ხორცზე ნიხრის შემცირება. კომისია ამ დღეებში შეადგენს მოხსენებას, რომელსაც შემდეგ სხდომაზე განსახილველად წარუდგენს ქალაქის საბჭოს.

*** ახალი წიგნი. რედაქციამ მიიღო ახალი პატარა წიგნაკი „რისთვის ითვრება ხალხი“, თხზ. ლ. ტოლსტოისა, თარგმანი განდეგილისა, გამოცემული იოსებ იმედაშვილის მიერ. წიგნი სუფთად არის დასტამბული, შეიცავს 62 გვერდს და ღირს ერთი შაური. შემდეგისთვის ბ. იმედაშვილი ჰპირდება საზოგადოებას შემდეგის წიგნების გამოცემას:

ცხოვრების სარკე (პიესების კრებული), წიგნი 1; ამ წიგნში მოთავსდება 4—5 პიესა; სცენები და მონოლოგები; კატალოგი სათამაშოდ ნება დართულ პიესებისა, შედგენილი ვ. აბაშიძის მიერ და სხვ.—გამომცემელი სთხოვს ავტორ-მთარგმნელთ, მოაწოდონ პიესები და სცენები. დაწუნებული მასალა ავტორებს უკანვე დაუბრუნდებათ. ავტორებმა თვისი პირობანიც უნდა აუწყონ გამომცემელს.

მეურნეობითი კრიზისები კ. კაუცკისა. თარგ. ვ. ხახ—შვილისა.

ჩვენს შვილებს, კრებული ძველი და ახალი მგოსნების საუკეთესო ლექსებისა; ამ კრებულისთვისაც სთხოვს მსურველთ მოაწოდონ მასალა.

ისტორია აღზრდისა და მისი რეფორმატორნი (შტურმი, რაბელე, მონტენი, მიულკასტერი, რატიხი, იან-ამოს-კომენსკი), თარგ. გაბრიელ ბარნაბიშვილისა, წიგნი 1.

*** მმარცველი მედუქნე. წარსულ გაზაფხულში ძალიან შეუმცირდა მუშტრების რიცხვი სახელოვანს მედუქნეს ა—ვს. იმედ-დაკარგულმა დაიწყო ისევ სასამართლოში სიარული ძველ ნისიების ამოსაგებად, მაგრამ აქაც ვერაფერს გახდა, რადგან მოვალეები ერთსა და იმავეს ეუბნებოდნენ: ახალი კანონის ძალით ჩვენგან ფული არ გერგება, რადგან შენგან ნისიად მოცემული არაყი და ღვინო ჩვენთვის არა სახეირო, არამედ საზარალო იყოვო. მაშ თუ ეგრეაო, იფიქრა ა—ვმა, აღარც მე გადავუხდი ვალს დ—ვს, რომლისაც 36 მან. მმართებსო. ამ მიზნის მისახწევად მან მიჰმართა შემდეგს საშუალებას: საჩქაროდ მოაგროვა თავისი ძველი მუშტრები და მათთან ერთად სადილი გაუმართა თავისს დუქანში დ—ს. ორი სამი საათის განმავლობაში დ—ვი ისე დაათვრეს, რომ გონება დაეკარგა. შემდეგ ეცნენ და ძალათი ჯიბიდან ამოაცალეს ის ხელ-წერილი, რომლის ძალით ა—ვი ვალდებული იყო 36 მან. გადაეხადნა. ამის შემდეგ დ—ვმა საჩივარი შეიტანა ტფილისის ოლქის სასამართლოში, რომელმაც გამოსაძიებლად საქმე გადასცა მესამე განყოფილების გამომძიებელს. ეჭვს გარეშეა, რომ ა—ვს სისხლის სამართალში მისცემენ და ძალიან სასტიკადაც დასჯიან მისი ამხანაგებითურთ.

ნ. დილმელავი

*** სადგ. საჯავახო. დუქნების გაშენება. დღემდე საჯავახოს სადგურთან მყოფი დუქნები შორი-შორსიყო გაფანტული და ვაჭრობა სხვა-და სხვა ალაგას სწარმოებდა. დღეს კი ვაჭრები ცდილობენ მთელი ბაზარი ერთსა და იმავე ადგილზე გააშენონ და კიდეც დაიწყეს განსაზღვრულ ადგილზე, სადგურის მახლობლად, დუქნების აშენება. ეს, რასაკვირველია, ჩინებული აზრია, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ დუქნებს წინა პირს გზისაკენ უშვრებიან და ზურგს-კი სადგურისაკენ, რაც დიდ უხერხულობას შეადგენს მგზავრთათვის.

რიონის-პირელი

*** დ. აბაშა (სამეგრელო). ყაჩაღები და მკვლელობა. 29 ნოემბერს, ღამის 7 საათზე ს. ონტოფოში, სამი შეიარაღებული ყაჩაღი თავს დაეცნენ დ. აბაშაში მოვაჭრე იტია კორძახიას და ძალდატანებით ოთხას მანეთამდე ფული წაართვეს და გზას გაუდგნენ. ეს პატიოსნებაზე ხელ-აღებული ვაჟბატონები ისე მოურიდებლათ ისროდნენ თურმე ბერდანის თოფებს, რომ ომიანობას მოგაგონებდათ. ერთმა მძინარე კაცმა, რომ ყური მოკრა სოფლის ყვირილს და მანდილოსნების კივილს, გაიფიქრა სწორედ საქონლის ქურდი უნდა იყოსო და ხელცარიელი გზაზე დაუხვდა ყაჩაღებს, და შეჰყვირა, გაჩერდით ვერ გაგიშვებთო. უბედურს არ ეგონა თუ ყაჩაღები იყვნენ. თავიდან ფეხამდის შეიარაღებულ სამ ყაჩაღს ერთი უიარაღო კაცი რას დააკლებდა? მეორე სიტყვის განმეორება არ აცალეს, რომ პირში რევოლვერით განგმირეს. უსულოთ მიწაზე დაეცა უბედური ოჯახის მარჩენელი. როგორც ამბობენ თურმე ეს ყაჩაღები, ჯარის-კაცად ყოფილი პირები არიან, რომელნიც გამოქცევიან სამსახურს და აქ იმ ზომამდის სულის და სვინდისის სიმდაბლე სწვევიათ, რომ თავიანთ მეზობლებს ხოცავენ და აწიოკებენ. პატივცემული მაზრის უფროსის თანაშემწე თ. აბაშიძე მეორე დღესვე მიიჭრა ხსენებულ სოფელში, ადგილობრივი ბოქაულით შეუდგნენ ძებნას, მაგრამ ჯერაც ვერაფერი აღმოუჩენიათ, ხოლო ზოგიერთი შემჩნეული: ვითომ მითითებელი უქმაძეები შეპყრობილია და გამოძიება სწარმოებს.

ბან-დონ

*** ხევსურეთი. აქაური მდგომ. და ახალი ამბები. ახიელის საზოგადოება რომ მოშორებულ მოკლებულია ყოველგვარ კანონიერ შემწეობა-მფარველობას ამას ქვემოთ მოყვანილი მაგალითებიც დაამტკიცებს რაც ამ ზაფხულს იქ ამბები მომხდარა იმა მახლობელ სუნჯის ოლქის ს. ნეთხელი ქისტების წყალობით მხოლოდ ეხლა და იქმნება გაგებული. აქეთ ვერ გადმოდიან უგზოობის და სიშორის გამო, იქითაც ქისტები არ უშვებენ, რომ სამართალი ნახონ და არიან ღვთის ანაბარას მიტოვებულნი. მალ-მალე დაეცემიან თოფების სროლით ნეთხელი ქისტები ხევსურების სოფლებს და აშკარად იტაცებენ საქონელს. იშვიათი ღამე გავა, რომ გომური არ გატეხონ და საქონელი არ მოიპარონ, მგზავრს ხომ შიშით ვედ გაუვლია. რადგანაც ქ. ვლადიკავკავი იქიდგან ახლოა ამიტომ ყოველგვარ საოჯახო სანოვაგეს სულ იქიდგან ეზიდებიან, პურს მარილს და სხვ. კავკავში სავაჭროდ წასულმა ხევსურმა უსათუოდ ქისტების სოფელ ნელხზე უნდა ჩაიაროს, სადაც ბევრი შიში და უბედურება მოელის.

ხევსურებს მომეტებულად უფრო

აწუხებს სუნჯის ოლქის სოფ. ნეთხში მცხოვრები ქისტი ოსია ფარეშას ძე ხარსიევი, რომელიც, როგორც ამბობენ, ექვსი წელიწადია თურმე რაც იმალება და რამდენიმე ამხანაგით ყაჩაღობს;

ამას წინად კავკავში სავაჭროდ-მიმავალს სოფ. ამღაში მცხოვრებელს ხევსურს მარაიძე წიკლაურს დაუხვდა ხსენებული ოსია ხარსიევი თავის ამხანაგებით და გაცარცვა. წაართვა 45 მან. ფული და ვერცხლის ხანჯალი. თხიელში მცხოვრებელს თათარა ოჩიაურს, ღლისით დაუშინეს თოფები, რათა მოეკლათ და საქონელი გაერეკათ. თოფი მოხვდა იქ მყოფს თათარას ძმისწულს ქალიშვილს მეწყინას და მუხლში დასჭრეს. ამ თვეში გზაზედ დაუხვდნენ კავკავიდგან მომავალ ს. ამღაში მცხოვრებელს ხევსურს ფშინა წიკლაურს, წაართვეს ცხენი, ვაჭრი და ცარიელი გაუშვეს. ამ თვეშივე ს. ჭიმღაში ღამე გატეხეს გიორგი გიგაურის გომური, საიდგანაც მოიპარეს ერთი ცხენი, და არი ფირდაგი. ორივე ნაპარავი ხენები დღესაც თურმე შინა ჰყავს ას..

6 ნოემბერს ღამე სოფ. ჯიმღაშივე მანგია გიგაურს გაუტეხა გომური, მოიპარა ერთი ცხენი, ერთი ხარი და ოთხი ფარდაგი დასაყრევინებლად გამოუდგნენ ხევსურები უშიშა წიკლაური და ბეწიკა გიგაური. უშიშას ამხანაგი უკან ჩამორჩა და თითონ მარტო გამოეკიდა ქისტებს. უცებ ბნელა ღამეში ზედ წააწყდა ვიღაცეებს. მისვლისა-თანავე უშიშას უთხრა: „ვინა ხართო“ პასუხზე გაიგო, რომ იმ ქურდებში ერივა ოსია ხარსიევი და მაშინათვე თოფი დაახალა, მაგრამ საუბედუროდ ქართული თოფი იყო და არ გაუარდა. მაშინ ქისტებმა ესროლეს და მძიმედ დასჭრეს, რის გამოც რამდენსამე დღის შემდეგ მოკვდა. უკან დარჩომილი მდევრათ წამოსულები: გაგა წიკლაური, უშიშას მამა — ჩაჩაური და ოსნიც სხვანი გათენებისას გამოუდგნენ გაქცეულ ქისტებს, წამოეწივნენ და ოთხივემ ერთად ესროლეს უკან დარჩომილ ქისტებს, ოთხივეს ნასროლი მოხვდა და იქვე დააწვინეს. მოუბრუნდნენ ხევსურებს დანარჩენი ქისტები ბერდანკის თოფის სროლით და სანამდე თოფის პატრონები არ გამოელიათ თავი აღარ დაანებეს. დაყარეს მოპარული ცხენი და ხარი და ისე გაიქცნენ. მოკლული ქისტი აღმოჩნდა სუნჯის ოლქის სოფ. აზნაკში მცხოვრებელი ჯირნალი არაფრაშვილი, რომელსაც თურმე სახელი-ქონდა გავარდნილი ქურდობა-ყაჩაღობაში.

საჭიროა დროზედ მიიღონ ჯეროვანი ზომები, თორემ ნეთხელი ქისტები ამ ამბების შემდეგ მოსვენებას აღარ აძლევენ ხევსურებს, ძაღლებს უწამლავენ და ცეცხლითა და მახვილით ემუქრებიან.

ივეე

*** **ველისციხე** (სიღნაღის მაზრა) კაცის დაჭრა. ს. ველისციხეში თავ. ზაქ. ჯანდიერმა სიმთვრალის დროს ხანჯლით დასჭრა ველისციხის მცხოვრები სოლომონ გურგენაშვილი.

*** **ბელოთის საზოგადოება.** ძველი და ახალი ამბავი. არ იქნა და არ ეღირსა ამ უბედურ ბელოთის საზოგადოებას რიგიანი მამასახლისი. ამ ოთხი წლის განმავლობაში, აქ გამოცვლილა ათზედ მეტი მამასახლისი და იმის მოადგილე. ზოგი მამასახლისი, პატარა ლიახვის ქურდ ოსებს არ მოსწონთ და საჩივარს-საჩივარზედ ჰგზავნიან მამასახლისზედ; ზოგ მამასახლისს კი ქურდი ოსების დევნით ილაჯი უწყდება და თვითონვე თავის ნებით ინთავისუფლებს თავს. 15 ნოემბერს ცხინვალის პოლიციის ბოქაულმა შეჰყარა ხალხი და გამოუცხადა, რომ ახლანდელი მამასახლისი, მთავრობის გარდაწყვეტილებით, დათხოვნილია და ახალ მამასახლისად უნდა ამოირჩიოთ კეთილ სინდისიერი, პატიოსანი და საქმის შემასრულებელი კაციო. თუმცა მამასახლის ჯამაგირსაც კარგს უნიშნავენ, მაგრამ ვისაც ხალხმა ჯოხი მიაყუდა, ყველამ ხელები გაასავსავა და იძახოდა: მე ქურდი ოსების დევნის თავი არა მაქვსო. ბოქაულიც სცდილობდა, როგორმე დაეყენებინა ნასწავლი და გამოცდილი მამასახლისი, შესაფერის ჯამაგირით, მაგრამ ერთი ისმოდა: წელიწადში რომ სამასი თუმანი მომცეთ, მე პატარა ლიახვის მამასახლისობა არ შემიძლიანო. ყრილობამ ერთხმად აირჩია მამასახლისად მარმაზეთის მცხოვრებელი სოსიკო კაბელაშვილი, თავიანთივე ნებით დაუნიშნეს ჯამაგირად კომლზედ ათ-ათი შაური, მაგრამ თავის სახლში გაიგო თუ არა, რომ მამასახლისად ამოირჩიესო, წავიდა ბოქაულთან და ბევრი ეხვეწა განთავისუფლებას, რადგან ბოქაულს იმის თხოვნა არ შეუწყნარებია, ამბობენ, კაბელაშვილმა თხოვნა გაგზავნა გუბერნატორთანაო, რომ მე მამასახლისობის თანამდებობის ასრულება არ შემიძლიან პატარა ლიახვის ხეობაზედაო.

არ ვიცი ღმერთმანი, როდის რა ეშველება ამ ქურდ ოსებს და ან როდის აილაგმებიან ეს წყეულები, რომ ყოველივე კეთილი ამათ ერიდება და ბოროტები ხომ თვითონაც არიან. არაფერი ამათზე არ მოქმედობს: არც ციმბირი, არც სატუსაღო, არც ცემა ტყეპა, არც ეკკლესიური ქადაგება, არც დაყვავება და არც გაჯავრება. შეაყარეთ კედელს ცერცვი, ზედ რა დადგება? შარშან მართლმადიდებელმა ქრისტიანობის აღმადგენელმა საზოგადოებამ, სკოლა გახსნა პატარა ლიახვის ხეობაზედ, მაგრამ თოფის სასროლ მანძილზედ არ ეკარებიან სკოლას. იქნებ ეშინიანთ, ქურდობას დაავიწყებენ ჩვენ შვილებსაო და მამა-პაპეურ ანდერძს გავტეხავთო?

მართალაძე

## საოჯახო ცოდნა.

### ბავშვების აღზრდა ოჯახში

«მამანი ნუ განარისხებთ შვილთა თქვენთა, არამედ განზარდენით იგინი სწავლითა და მოძღვრებითა უფლისათა» (ეფეს. 6, 4).

(საუბარი, წარმოთქმული ქაშვეთის ტაძარში 22 ნოემბერს 1898 წ.)

(შემდეგი*)

ბედნიერია ის ოჯახი, რომლის დედა ღვთის-მოყვარე და ღვთის მოშიშია. ღვთის მოშიში, მორწმუნე დედა დილით და საღამოთი, დღით და ღამით ევედრება შემოქმედს თვისი შვილების დღეგრძელობის შესახებ. ხშირად ხედავენ ბავშვები, რომ მათი დედა, სანამ დასაძინებლად დაწვებოდეს, მუხლს იყრის წმ. ხატის წინაშე, რომლის წინ ანთია ლამპარი, ანუ სანთელი; ის ხელ-აპყრობილი ლმობიერად ლოცულობს თვისის ქმარშვილის დღეგრძელობისა და ბედნიერების შესახებ. ანგელოსი, მფარველი ოჯახისა, იდუმლად, უხილავად სდგას მლოცველი დედის გვერდით და მიართმევს მისს მხურვალე ლოცვას ზენაარსსა... ჭეშმარიტად ასეთი დედა — ბურჯია, სულია მთელის ოჯახისა. ის ასწავლის ბავშვებს პირველს ლოცვას, პირველს ანბანს, ზრდილობიანობას და უჩვენებს მათ საკუთარის ცხოვრებიდამ კეთილს მაგალითებს. დედა მოქმედებს ბავშვებზედ სიტყვითაც, შეხედვითაც, მოფერებითაც და თვით ტკბილი აკვანზედ დასამღერებელი ნანათი. აი რას იტყვის წმ. ბასილი დიდი დედის და ბებიას გავლენის შესახებ თავისს თავზედ: „ცოდნა ღვთის შესახებ მივიღე მე ნეტარის დედისა ჩემისა და ჩემის ბებია მაკრინესაგან და მე არ შევცვალე ეს ცოდნა მაშინაც-კი, როდესაც სრულს ჭკუა-გონებაში შევედი... მხოლოდ სრულ ვჰყავ ის ცოდნა, რომელიც მათ მე ჩამაგონეს“. საქართველოს განმანათლებელი წმ. მოციქულთ სწორი ნინო აღზარდა დედამ გლახაკთა მსახურებაში, — მის თვალთა წინ მისი მშობლები კეთილს საქმეებში იწვრთნებოდნენ... მშობლების მაგალითი წმ. ნინოს არასოდეს დავიწყებია და მას ბაძვიდა თვისს წმიდა ცხოვრებაში. მაგალითი, საქმე უფრო მეტსა და უფრო ძლიერად გვასწავლის, ვინემ მხოლოდ ცალიერი სიტყვები და დარიგებანი. „ვინ არს ბრძენი და მეცნიერი თქვენ შორის— ბრძანებს წმ. იაკობ მოციქული, — აჩვენენ კეთილად სვლისაგან საქმენი შენნი“. ესე იგი, ვინც ბრძენი და ნასწავლი ხარ, სიბრძნე და ნასწავლობა კეთილ საქმეებით დაამტკიცეო. წმ. იოანნე ოქროპირი აღზრდილ იქმნა კეთილ-მსახურ დედის ანფუსას მიერ. წმ. გრიგოლ ღვთის-მეტყველს ზრდიდა დედა მისი ნ ო ნ ნ ა. ორივე დიდის მადლობის გრძნობით მოიხსენებს თვისს დედებს, რომელთაც მათს გულში დასთესეს წმიდა თესლი სარწმუნოებისა და ზნეობისა... კეთილ-მსახურ ოჯახში აღზრდილს ადამიანს ვერა რა შეურყევს სარწმუნოებას: ვერც მღელვარე ტალღები ცხოვრების ზღვისა, ვერც შიში და მწუხარება; ის სდგას შეურყევლად, უშიშრად მათ შორის, ვით მაგარი და მყარი კლდე, რომელიც ამარცხებს ყველა ტალღებს, ქარიშხალს, შიშს და მწუხარებას. წმიდანი გრიგოლ ღვთის მეტყველი, ვასილი დიდი და იოანნე ოქროპირი, სწავლობდნენ ათონის საწარმართო სასწავლებელში, აქ შეისწავლეს მათ საწარმართო მეცნიერებანი, სცხოვრობდნენ წარმართ ამხანაგებში, მაგრამ ოჯახშივე მშობლი დედის ზედ გავლენის ქვეშ შეთვისებულ-შესისხლ ხორცებული ქრისტიანობრივი სარწმუნოება კი არ უარ ჰყვეს, კი არ დაჰკარგეს. ესრედ პირველ მაგალითებს და პირველ შთაბეჭდილებათა აქვსთ დიდი გავლენა ბავშვებზედ: მათზეა დამოკიდებული ბავშვის მომავალი ცხოვრება. აი რა დიდია მშობლების მოწოდება: მათს ხელშია ახალ-თაობის ბედიღბალი. ისინი უზრდიან სახელმწიფოს მოქალაქეებს, საზოგადოებას — წევრებს და ეკკლესიას — ძეებსა. ამისათვის მშობლები უნდა სცდილობდნენ აღასრულონ ის მოთხოვნილებანი, რომელთაც მათ დააკისრებს მათი მაღალი მოწოდება... მშობლებმა უნდა მოიპოვონ დიდი ზედ გავლენა ბავშვებზედ, რომელნიც დაუყოვნებლად უნდა ემორჩილებოდნენ ამ ზედ გავლენას. უკეთუ მათს გულში ჩანერგილია ღვთის შიში, უკეთუ ისინი სცხოვრობენ სახარების სწავლის თანახმად, მაშინ იმათ ექნებათ დიდი საკეთილო გავლენა შვილებზედ... იქ, სადაც მშობლები არიან მშვიდნი და კეთილმსახურნი, კეთილის მოსურნენი და მშვიდობის მყოფელნი, ფხიზ-

*) იხ. „ცნ. ფურცლის“ № 693.

ლნი და შრომის მოყვარენი, იქ უმეტეს ნაწილად ბავშვები არიან მორჩილნი და პატივის მცემელნი; იქ ოჯახში მეფობს მშვიდობა და კეთილ დღეობა... იქ, სადაც მშობლები ხშირად სწყრებიან, ჯავრობენ, ჩხუბობენ, ბავშვებიც ცუდის ხასიათის იზრდებიან... სადაც ოჯახში არ არსებობს კეთილი ცხოველი მაგალითები, სადაც მშობლები ხშირად ლაპარაკობენ ღვთისა, სალმრთო სჯულისა და კეთილმსახურების შესახებ და თვითონ კი ღვთის არ ეშინიანთ, არ ასრულებენ სალმრთო სჯულსა, სადაც მცირეოდენ დანაშაულობისათვის მშობლები სჯიან ბავშვებს და თვით კი ბიწიერებას ემორჩილებიან, იქ არ შეიძლება დამყარდეს კეთილდღეობა; იქ გამეფდება ფარისევლობა, მლიქვნელობა, მშობლების მიმართ სიძულვილი და საოჯახო მწუხარება...

ილ. ფერაძე

(შემდეგი იქნება)

## სასამართლოს მატიანე

**მკვლელობის განზრახვა.** შარშან აგვისტოს დამლევს, დილის 5 საათზე, აზნაური გიორგი კობიაშვილი (26 წლისა), მთვრალი მივიდა ეტლით სამეძავო სახლში (ტფილისში, ერისთვის ქუჩაზე) ამ სახლის მეორე სართულის აივანზე აყალ-მაყალი ასტეხა და როცა ჯიბიდან რევოლვერი ამოიღო და ერთს მეძავ ქალს მოკვლას დაემუქრა, ყველა ქალები გაიქცნენ და თავ-თავისს ოთახებში ჩაიკეტნენ. ამ დროს მან დაინახა, რომ ეზოში გაიარა და თავისს ოთახში შევიდა მარიამ ოხრომენკო. კობიაშვილი ჩავიდა ეზოში, მივიდა ოხრომენკოს ოთახის შუშიან კარებთან და მოსთხოვა ქალს, შემიშვი ოთახში, თორემ რევოლვერს გესვრიო. ოხრომენკომ არ გაუღო კარები, მაგრამ ასწია შიგნიდან კარებზე ჩამოფარებული ფარდა და ქვრეტა დაუწყო კობიაშვილს. ამ დროს ქალის უარით განაწყენებულმა კობიაშვილმა კარების ფანჯრიდან ოხრომენკოს რევოლვერი ესროლა. ტყვია ასცდა ოხრომენკოს, რომელიც მსწრაფლ განშორდა კარებს. პოლიციამ გამოარკვია, რომ ტყვიას გაეტეხნა შუშა, გაეწვა ფარდა და გაკვეხებულიყო კედელზე ჩამოკიდებულ ბამბის პალტოში.

გამომძიებელს გ. კობიაშვილმა სხვა-და-სხვა გვარი ჩვენება მისცა და უარ-ჰყო თვის მიერ ვისიმე მოკვლის განზრახვა.

კობიაშვილს ჰბრალდება, რომ მან მარიამ ოხრომენკოს სიქციელით აღელვების დროს განიზრახა ამ ქალის მოკვლა.

ოლქის სასამართლოში 30 ნოემბერს კობიაშვილმა არ აღიარა თავი დამნაშავედ.

ოლქის სასამართლომ დამნაშავედ სცნო კობიაშვილი მარიამ ოხრომენკოს მოკვლის განზრახვაში და მიუსაჯა მას ყოველ უფლების ჩამორთმევა და ტომსკის გუბერნიაში საცხოვრებლად გადასახლება. („ტფ. ფურც.“)

## ყურმოკრული საუბარი

ცოლქმარს საჩივარი ჰქონდათ სასამართლოში. მოსამართლემ ჩვეულებრივ გაიყვანა განზე ქალი და ჰკითხა:

— თქვენ ნებ-აყოფლობით ფაზუნდებით, თუ ქრმისა გეშინიანთ და იმიტომ?.-

— რაო, ქრმისა მეშინიაო?! არ იფიქროთ ეგ თავის დღეში! მე ხუთი ქმარი მყოლია და არც ერთი მათგანის არ მშინებია.

—

ახალგაზდა ქვრივი ქალი მიდის მღვდელთან და სთხოვს:

— მამაო, გთხოვთ ქვრივობის მოწმობა მიბოძოთ, მე მსურს ჯვარი დავიწერო.

— მოითმინეთ, ქალბატონო! თქვენი ქმარი პატივსაცემი კაცი იყო და თქვენ კი მისი სიკვდილის დღიდან სამი თვის შემდეგ გნებავთ გათხოვდეთ. ეგ კარგი მაგალითი არ არის, შვილო!

— მართალია მამაო, სამი თვეა, რაც მოკვდა ჩემი ქმარი, მაგრამ იმასაც ნუ დაივიწყებთ. რომ ცხრა თვე ავათ იყო.

## წვრილი ამბავი

ჰერცოგი — მსახიობი. ინგლისის დიდ-კაცობას პატარა აყალ-მაყალი მოუვლის. საქმე შეეხება ჰერცოგს მანჩესტერს, რომელიც ვითომ მსახიობად შესულა. მაინც და მაინც ეს ამბავი გამოიწვევს აყალ-მაყალს მხოლოდ დახავსებულ რწმუნების გამო, რადგან ინგლისში განსაკუთრებით პატივს სცემენ მსახიობის ხელობას, მაგალ. მსახიობ ქალს სარა სიდონსს ძეგლი აგეს ვესტმინსტერის სააბატოში სხვა დიდებულ ადამიანებთან ერთად. დედოფალმა ვიქტორიამ აზნაურობა უბოძა მსახიობს გარი ირვინგს და შეუკვეთა ქ-ნის კალგვეს ბიუსტი, რომელიც ვინძორის გალერეაში უნდა დასდგას. უელსის პრინცი მის წინაშე წამდგარ აქტიორებს ისეთივე პატივისცემით იღებს, როგორც გენერლებსა და ადმირალებს. ცნობილია, რომ მარკიზის ლონდონელის ერთი ნათესავთაგანი ჩინებულად ასრულებს პირველ კომიკების როლებს კანადის თეატრებში და რომ ლორდი როსლეინი, თავის სასახლის დაუფასრავად, საუცხოვოდ თამაშობს „პირველ მიტრფიალეთა“ როლებს.

—

ანდრეს ამბავი. სტოკჰოლმიდან იწერებიან, ანდრეს ამბავი მიდგა [illegible] ვიღაც მუშას იოგან დეტკეს უნახავს ურალის მთებში ბოთლი ორი ბარათით რუსულსა და ფრანგულ ენებზე. პირველ ბარათში სწერია: „ანდრეს საფრენმა ბურთმა (შარმა) ურალის მთებზე გადაიფრინა“, — ანდრე, — მეორეში სწერია: „მიეცით ბარათი ელჩს ან პოლიციას“.

—

უზარმაზარი ტერმომეტრი. მასაჩუსეტის შტატის (ამერიკა) ქ. ვინჩესტერში გაუკეთებიათ უზამაზარი ტერმომეტრი (სითბოს საზომი), რომლითაც გაიზომება დედამიწის შინაგანი სითბო დიდ სიღრმეზე. ეს ტერმომეტრი სიდიდით ათ სართულიან სახლებზე მეტია და აქვს ათი საჟენის სიგრძე.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

2 ნოემბერი.

**პეტერბურღი.** ხელმწიფე იმპერატორმა ბრძანა — ნავთსადგური იმპერატორის ალექსანდრე III-სა დროებით ჩარიცხულ იქმნას მეორე ხარისხის სამხედრო ნავთსადგურთა რიცხვში.

**პარიზი.** პატრიოტთა ლიგის მხრივ მანიფესტაციის მოლოდინისა გამო, რამდენიმე ათასი კაცი რესპუბლიკის გვარდიისა და პოლიციელთა განაწილებული იყო პარიზის სხვა-და-სხვა ადგილას. რკინის გზის ყველა სადგური დაჭერილია. $12^1/_2$ საათზედ ასის კაცისაგან შემდგარი დასი, დეპუტატის მილოვუასა, რომელისაცა პოლკოვნიკის მონტეილის წინამძღოლობით, შერშემიდის სატუსაღოსთან მივიდა, შემდეგ სამხედრო სასამართლოსთან, მანიფესტაციის მოსახდენად; გაიძახოდა-რა: „გაუმარჯოს ჯარსაო!“ რაზმი წავიდა პარიზის გუბერნატორის სახლისაკენ, დავრდომილთა სახლისაკენ რის შემდეგაც მშვიდობიანად დაიშალა.


# განცხადებანი

## ექიმი
## კ. ი. გძელიშვილი

მ ი ი ღ ე ბ ს

ყელისა, ცხვირისა და ყურით ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს. საღამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკლესიის პირდაპირ.

Докторъ **К. И. Гдзелишвили.**

Михайловская, противъ кирки.

(100—62)

გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

## იმერული
## სცენები

შეკრებილი **ქ. მესხის** მიერ

ფასი **5** კაპ.

ვინც „ცნობის ფურცლის“ რედაქციიდან გამოიწერს ერთბაშ 25 ცალს, იმას ერთ მანათად [illegible] ეთმობა. (12—4)

გამოვიდა და ისყიდება „წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ წიგ. მაღაზიაში

## იუდა

(ნადსონისა)

ნათარგმნი **ილ. ფერაძის-მიერ,** გამოცემა ქქ. ხელაძისა. ფასი **3** კაპიკი.

იმავე ავტორის თხზულება: **Мысли Преосвященнаго Гавріила еписк. Имеретіи о воспитаніи дѣтей**“ ისყიდება ბ. ხიდდეკელის წიგნის მაღაზიაში, ფასი **20** კაპ. (10—4).

Подписка на **1899** годъ

## „РУСЬ“ 4 руб. въ годъ съ пересылкой.

ежедневная газета и еженедѣльный

**„Иллюстрированный Листокъ“ 2** Рубля въ годъ съ пересылкой

Издаваясь при «Недѣлѣ», въ одномъ съ нею направленіи, и служа существеннымъ ея дополненіемъ, «Русь» въ то-же время представляетъ собою самостоятельный, полный ежедневный органъ, имѣющій цѣлью, — благодаря участію выдающихся литературныхъ силъ, — доставить интеллигентнымъ читателямъ при общедоступной подписной цѣнѣ вполнѣ литературную и серьезную газету.

„НЕДѢЛЯ“ еженедѣльная общественно-политическая газета
„КНИЖКИ НЕДѢЛИ“ ежемѣсячный литературный журналъ
**9** Руб. въ годъ съ перес.
**Всѣ четыре изданія 15** р. въ годъ съ перес.

**Допускается широкая разсрочка**

*Подписка принимается:* въ С.-Петербургѣ, въ конторѣ редакціи «Недѣли» и «Руси», Литейный, 9.

Ближайшіе сотрудники: Я. В. Абрамовъ, проф. Н. П. Вагнеръ, П. П. Гнѣдичъ, прив.-доц. В. М. Грибовскій, В. Л. Дѣдловъ, М. Н. Мазаевъ, М. О. Меньшиковъ, П. Е. Накрохинъ, Владиміръ Соловьевъ, акад. И. И. Янжулъ и многіе другіе.

Редакторъ-издатель «Недѣли», издатель «Руси» *В. П. Гайдебуровъ.*

(12—2) Отвѣтственный редакторъ «Руси» *М. В. Головинскій.*